სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლი სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52- ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების 32^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32^1. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი და სამეცნიერო-სასწავლო-პრაქტიკული „სამედიცინო ცენტრი" რომელთა საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.".

2. დებულებას 45-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 45^1 მუხლი:

„მუხლი 45^1. აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება

მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.".